

ტესტის სახელწოდება

CA 19-9 (Cancer Antigen 19-9 - კიბოს ანტიგენი 19-9)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში CA 19-9-ს დონეს განსაზღვრავს. CA 19-9 ცილაა, რომელიც ზოგიერთი სახის კიბოს უჯრედებზე გვხვდება.

CA 19-9-ს დონის მომატება ძირითადად დაკავშირებულია პანკრეასის კიბოსთან, თუმცა იგი ასევე იმატებს სხვა ავთვისებიანი სიმსივნეების და დაავადებების დროსაც.

ამგვარად, CA 19-9 კიბოს სკრინინგისთვის არ გამოდგება, რადგან საკმარისი სპეციფიკურობა და მგრძობელობა არ გააჩნია.

ეს ანალიზი ძირითადად პანკრეასის კიბოს მკურნალობის მონიტორინგისა და მისი რეციდივის გამოსავლენად გამოიყენება. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც პანკრეასის კიბოს უჯრედები CA 19-9-ს არ წარმოქმნიან და ასეთ დროს, მას სიმსივნის მარკერად ვერ გამოიყენებენ.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ამ ანალიზს ძირითადად მაშინ ნიშნავენ, როდესაც პაციენტს პანკრეასის კიბო აქვს. ხშირად მას სხვა ანალიზებთან ერთად აკეთებენ (მაგ. CEA, ბილირუბინი, ღვიძლის ფუნქცია).

თუკი პანკრეასის კიბოს მქონე პაციენტს CA 19-9 მომატებული აქვს, ეს ანალიზი მკურნალობის მიმდინარეობისას რამდენჯერმე ინიშნება, რათა ჩატარებულ თერაპიაზე სიმსივნის პასუხს დააკვირდნენ.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

CA 19-9-ს დაბალი დონე ჯანმრთელ ადამიანებშიც გვხვდება. CA 19-9 დროებით იმატებს ღვიძლის და პანკრეასის ზოგიერთი დაავადებისას და შემდეგ ისევ უბრუნდება ნორმას.

CA 19-9-ს მაღალი დონე ძირითადად პანკრეასის კიბოს დროს გვხვდება, თუმცა მისი მომატება სხვა ავთვისებიანმა სიმსივნეებმაც შეიძლება გამოიწვიონ.